განმარტებითი ბარათი
საქართველოს კანონის პროექტზე
„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საზოგადოებრივი უსაფრთხოების თვალსაზრისით არსებული გამოწვევები სახელმწიფოს მხრიდან ადეკვატურ რეაგირებას მოითხოვს. ამგვარი გამოწვევების საპასუხოდ, შესაბამისი ქმედებისთვის დაწესებულმა სანქციამ პირველ რიგში სამართალდარღვევის შემაკავებელი ფუნქცია უნდა შეასრულოს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება იმ პირთა საქმიანობის ნორმალური ფუნქციონირებისთვის ხელშეშლას, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე არიან პასუხისმგებლები.

სახელმწიფოსა და საზოგადოების სტაბილური და გამართული ფუნქციონირება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული სწორედ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლების გადაწყვეტილებების ეფექტიან აღსრულებაზე. მათმა შეუსრულებლობამ შეიძლება საზოგადოების ცხოვრების ნორმალური ფუნქციონირების შეფერხება ანდა მოშლა გამოიწვიოს.

პრაქტიკაში ნორმის ეფექტიან აღსრულებას, ხშირ შემთხვევაში, პასუხისმგებლობის ადეკვატური ზომების არსებობა განაპირობებს. ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო მოხელის კანონიერი განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობის ან მის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებისთვის დადგენილი სანქცია (ისჯება ჯარიმით 250 ლარიდან 2000 ლარამდე), განსაკუთრებით კი მისი მინიმალური ქვედა ზღვარი, შეუსაბამოა ნორმის მიზანთან და სამართალდარღვევის შემაკავებელ ფუნქციას ეფექტიანად ვერ ასრულებს.

ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთის პრაქტიკა, რომელიც ძირითადად ერთგვაროვანია და სახელმწიფოს წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობის გაწევისთვის ითვალისწინებს საკმაოდ მაღალი ოდენობის ჯარიმას ან თავისუფლების აღკვეთას. *მაგ.*: ბულგარეთის ადმინისტრაციული კანონმდებლობა ითვალისწინებს ჯარიმას **(1803 აშშ დოლარიდან 6011 აშშ დოლარამდე).** გერმანიაში ჯარიმის თანხა 150-დან 2500 ევრომდე მერყეობს, ამასთან, ცალკეული ხასიათის უხამსი შეურაცხყოფისთვის პირი შესაძლოა 4000 ევროთი დაჯარიმდეს. აშშ-ში,

ვაშინგტონის შტატში, ფულადი ჯარიმა არის 1000 დოლარამდე, ხოლო კალიფორნიაში - 2000 აშშ დოლარამდე. დიდი ბრიტანეთში პოლიციელისათვის წინააღმდეგობის გაწევა რეგულირდება „პოლიციის აქტით“ და ითვალისწინებს ფულად ჯარიმას 1000 ფუნტი სტერლინგის ოდენობით ან თავისუფლების აღკვეთას. დანიაში ასევე გათვალისწინებულია ჯარიმა ან 4-დან 6 თვემდე თავისუფლების აღკვეთა.

ასევე აღსანიშნავია, რომ დღეს მოქმედი რედაქციით, საზოგადოებრივი წესრიგის ხელმყოფი ისეთი ქმედება, როგორიცაა, წვრილმანი ხულიგნობა, ფულადი სანქციის სახით ითვალისწინებს მხოლოდ 100 ლარს. სანქციის სიმცირე შეუსაბამოა ქმედების ხასიათთან და ბუნებასთან. შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებს გადახედვას სანქციების გაზრდის ნაწილში. აღსანიშნავია, რომ წვრილმანი ხულიგნობისთვის აშშ-ს შტატში, ვაშინგტონში გათვალისწინებულია ფულადი ჯარიმა 1000 აშშ დოლარამდე, არიზონაში - 2500 აშშ დოლარამდე, გერმანიაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა დამამძიმებელ გარემოებაში შეიძლება დაისაჯოს 10 000 ევრომდე ჯარიმით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია, სახელმწიფოს წარმომადგენლების კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის ფაქტების შემცირება სანქციების გაზრდის გზით, ასევე მოქალაქეთა კანონმორჩილების ხარისხის გაზრდა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

პროექტის მიხედვით:

- იზრდება ჯარიმა წვრილმანი ხულიგნობისთვის. აღნიშნული სამართალდარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარიდან 1 000 ლარამდე, ნაცვლად 100 ლარისა.
- სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება გამოწვევს დაჯარიმებას 1000 ლარიდან 4000 ლარამდე, ნაცვლად 250 ლარიდან 2000 ლარამდე დაჯარიმებისა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა)კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი იქონიებს გავლენას სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე. კერძოდ, მოქმედი კოდექსით დადგენილი ჯარიმების ოდენობების ზრდის ხარჯზე. ამასთან, აღნიშნული თანხის წლიური მოცულობის დადგენა ამ ეტაპისათვის შეუძლებელია.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება იწვევს ფინანსური შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება მისი მოქმედება. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სახედ წვრილმანი ხულიგნობისთვის განისაზღვრება ჯარიმა 500 ლარიდან 1 000 ლარამდე, ნაცვლად 100 ლარისა, ხოლო სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლის, სამხედრო მოსამსახურის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის, აღსრულების პოლიციელის ან სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურის ან მასთან გათანაბრებული პირის კანონიერი განკარგულებისადმი ან მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობა, ან ამ პირის მიმართ სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელება გამოწვევს დაჯარიმებას 1000 ლარიდან 4000 ლარამდე, ნაცვლად 250 ლარიდან 2000 ლარამდე დაჯარიმებისა.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობა და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის შემოღების ვალდებულებას, თუმცა ზრდის მოქმედი კოდექსით უკვე დადგენილი ჯარიმების ოდენობებს შესაბამისი სამართალდაღღვევებისათვის.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს მთავრობა.